სახელმწიფო შესყიდვების შესახებ W14
ხელშეკრულება

ქ.ქუთაისი 06 თებერვალი 2012 წელი

ერთის მხრივ, შპს „ქართული ტრადიციები 2011“, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის ზვიად ბეშკენაძის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქუჩა 59-61, მეორეს მხრივ ფიზიკური პირი მინაშვილი გურამი , (შემდგომში „მიმწოდებელი“) (მისამართი: ქ. ქუთაისი მაისურაძის №1 ბ.42), პირადი ნომერი: 60001108679, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 შემსყიდველმა აწარმოა ერთ პირთან მოლაპარაკება მომსახურების შესყიდვაზე: სამრეწველო ავტომობილის (კრანი) დაქირავება მძღოლთან ერთად. ავტომობილის სახელმწიფო ნომერი DBV 440, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: DL 0037882, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი: XTC532130L0024506, ტიპი – სპეციალიზებული, გამოშვების წელი 1990, მოდელი Ш – 4572 (შესყიდვის კატეგორტია **60100000,** შესყიდვის კლასიფიკატორის **(CVP)** კოდი **60182000)** და მიიღო მიმწოდებლისაგან წინადადება, მომსახურების მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე: 125 (ასოცდახუთი) ლარი.

1.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ქ. ქუთაისის ქვიტირის საქალაქო სასაფლაოზე ე.წ. პიკაჟის დემონტაჟისა და მონტაჟის (ადგილიდან აღება და კვლავ ძველ ადგილზე დადება) სამუშაოების ჩატარებაზე.

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და ვადებში.

2. საპატენტო უფლებები

3.1 მომსახურების გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 125 (ასოცდახუთი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს (მათ შორის საწვავი) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული

მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებით;
5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შპს „ქართული ტრადიციები 2011"-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული თანამშრომლები (ინსპექტირების ჯგუფი).

6. მომსახურების მიწოდების პირობები

6.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი დღის ვადაში.
6.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
6.3 მიწოდების ადგილი - ქ. ქუთაისი, ქვიტირის საქალაქო სასაფლაო.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით და შესაბამისი, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენით. (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტში მითითებული პირები ან შპს „ქართული ტრადიციები 2011"–ს დირექტორი).
7.2 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მომსახურების ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

9. ანგარიშწორება და ვალუტა

9.1 ანგარისწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
9.3 ანგარიშსწორება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა (რაც დადასტურდება ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტით) და თანმდევი მომსახურების განხორციელების შემდეგ არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.
9.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

10.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ

ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობები.

12. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1. შემსყიდველი ვალდებულია:

12.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

12.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;

12.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

12.2.1 შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

12.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

12.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

12.2.5 მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო მომსახურების ნაკლის აღმოფხვრა.

12.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

12.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

12.3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

12.3.3 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

12.3.4 საკუთარი ხარჯებით აანაზღაუროს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო მომსახურებით მიყენებული ზიანი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

12.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:

12.4.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

12.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 10 პროცენტი;

14.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულების 0.2%–ს.

14.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

14.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევეაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

14.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი;

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16. დაუძლეველი ძალა

16.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

16.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

16.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული

კომპეტენციის ორგვლივ.
17.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი 30 დღეში ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. გამოყენებული სამართალი

18.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. შეტყობინება

19.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
19.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების დადებიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

22. სხვა პირობები

22.1 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
22.3. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

23. მხარეთ რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შპს „ქართული ტრადიციები 2011“ mis: ქ. ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქუჩა №59-61 ს.ს ,,თიბისი ბანკი" ანგარიშის № GE03 TB75 5503 6020 1000 03; b/kodi: TBCBGE 22. s/kodi: 412681218 **დირექტორი** ----------ზ. ბეშკენაძე----------	მინაშვილი გურამი მცხოვრები: ქ. ქუთაისი, მაისურაძის ქუჩა №1 ბ. 42 პირადი №600011086679 _____
ზ. ბეშკენაძე	ხელმოწერა გ. მინაშვილი

მიღება–ჩაბარების

აქტი

ქ. ქუთაისი 07 თებერვალი 2012 წელი

ერთის მხრივ, შპს „ქართული ტრადიციები 2011“, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის ზვიად ბეშკენაძის სახით, ჩაიბარა, ხოლო მეორეს მხრივ ფიზიკური პირი მინაშვილი გურამმა (შემდგომში „მიმწოდებელი“) ჩააბარა მხარეებს შორის 2012 წლის 06 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული შემდეგი სამუშაო: ქ. ქუთაისის ქვიტირის საქალაქო სასაფლაოზე ე.წ. პიკაჟის დემონტაჟი და მონტაჟი (ადგილიდან აღება და კვლავ ძველ ადგილზე დადება). სამუშაო შესრულებულია მხარეებს შორის გაფორმებული 2012 წლის 06 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცვით, ჯეროვნად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

მომსახურება ჩააბარა მომსახურება ჩაიბარა

მინაშვილი გურამი ზვიად ბეშკენაძე

საქართველო
მოქალაქის პირადობის მოწმობა

პირადი № 60001108679
სახელი გურამი
გვარი მინაშვილი
დაბადების თარიღი 13.04.1942
დაბადების ადგილი ვანი

№ 1044218

პირადი ხელმოწერა

მისამართი ქუთაისი, მაისურაძის N 1
ბ. 42
მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება საჯარო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის სამსახური
გაცემის თარიღი 28.03.2007
მოქმედების ვადა 28.03.2017
რეგისტრაციის თარიღი 24.09.1980
60-001
უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

საქართველო
GEORGIA

DBV440
სარეგისტრაციო ნომერი
Registration number

კუთვნილება
Belonging
გურამი მინაშვილი
Gurami Minashvili

მარკა, მოდელი
Model

გამოშვების წელი
Production year 1990

ფერი
Color ნარინჯისფერი
ORANGE

ტიპი
Vehicle type სპეციალიზებული
SPECIAL VEHICLE

ძრავის მოცულობა
Engine capacity

ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი
Vehicle ID number XTC532130L0024506

IMMATRICULATION

ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა
IMMATRICULATION DL0037882 GE

[redacted]

სარეგისტრაციო მოწმობა
Registration certificate
სარეგისტრაციო მოწმობა
#DL0002802
Registration certificate
NDL0002802

ძარის
Body Nº

ძრავის
Engine Nº 0573194

შასის
Chassis Nº

დასაშვები წონა
Safe load (kg) kg

დაუტვირთავი წონა
Net Weight (kg) kg

სვს სარეგისტრაციო № 11-0230

CERTIFICAT D'IMMATRICULATION